



NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY  
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მშენებლობა

მაგისტრატურა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 ოქტომბერი, 2023

2023 წლის 23 ნოემბერი

თბილისი

## სარჩევი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა .....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	10
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა .....	10
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	19
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	27
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა.....	30
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი .....	41

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ <sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი სსიპ	სახელმწიფო
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049	
ინსტიტუციის ტიპი	უნივერსიტეტი	

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რუდე ლიას; ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ესტონეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირმა ღარიბაშვილი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი შპს ბიზნესის და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით ტეფნაძე საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მიითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	მშენებლობა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Construction
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა, მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	Master of Construction Engineering მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული 14.12.21 No.1365959
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები. )	

<sup>2</sup>უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

აწსუ-ს „მშენებლობის“ სამაგისტრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს, ხანგრძლივობა - 4 სემესტრი, თითო სემესტრი - 15 კვირა. ერთი კრედიტი უდრის 25 აკადემიურ საათს. პროგრამამ პირველადი აკრედიტაცია 2012 წელს გაიარა. პროგრამა ხორციელდება აწსუს სამოქალაქო ინჟინერიისა და ტრანსპორტის დეპარტამენტში. პროგრამას აქვს სამშენებლო კონსტრუქციების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი კონცენტრაცია და საავტომობილო გზების კონცენტრაცია. წლების განმავლობაში, პროგრამაზე მიღება იზრდებოდა და ამჟამად საშუალოდ 12-15 სტუდენტს შეადგენს.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აწსუ-ში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სამშაბათს, 2023 წლის 10 ოქტომბერს გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფმა გამართა 10 შეხვედრა, უნივერსიტეტის სხვადასხვა წარმომადგენელთან და დაინტერესებულ მხარეებთან (კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან). ასევე მოეწყო მოკლე სადამკვირვებლო ვიზიტები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ფაკულტეტის კვლევით და სასწავლო დაწესებულებებში. საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა მოკლე შინაარსი მათი ძირითადი მიგნებების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი ერთობლივად მონაწილეობდა ვიზიტის დღის წესრიგში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში.

### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - „შეესაბამება მოთხოვნებს“.
  - 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება: - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა -სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა -მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
  - 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია - „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“.
  - 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“.
- 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
  - 5.1. შიდა ხარისხის შეფასება - „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“.
  - 5.2. გარე ხარისხის შეფასება - „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“.

### ▪ რეკომენდაციები

<sup>4</sup>პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- 2.2. გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში.
- 4.2. სასწავლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ახალგაზრდა თაობის აკადემიური პერსონალი სასწრაფოდ უნდა ჩაერთოს ხელმძღვანელობის პროცესში, რათა დანერგოს ახალი თაობის „მრეწველობა 4.0-თან“ დაკავშირებული მეტი თემა; საჭირო იქნება ფაკულტეტის შესაბამისი სამოქმედო გეგმა.
- 4.5. პროგრამა არა საკმარისადაა დაფინანსებული; სამოქალაქო ინჟინერიის სწავლა ყოველთვის ძვირადღირებულია და მოითხოვს კარგ დაფინანსებას შესაბამისი ობიექტებისა და აკადემიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად; თვითშეფასების ანგარიში არ იძლევა მკაფიო მტკიცებულებას იმის თაობაზე, რომ სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელებს ამჟამად აქვთ შესაბამისი რესურსები. სამშენებლო სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან/დამსაქმებლებთან/მეწარმეებთან თანამშრომლობით უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს ეს საკითხი, რათა უზრუნველყოს სამშენებლო საქმის სწავლების გრძელვადიანი ხარისხი აწსუ-ში.
  - 5.1. რეკომენდებულია პროგრამის ყოვლისმომცველი შეფასება - პროგრამის მდგრადობის განმსაზღვრელი ყველა ასპექტის შესწავლა, პროგრამის რესურსების მოვლა-პატრონობის, განახლებისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის წინასწარი განსაზღვრის ჩათვლით.
- 5.2. აუცილებელია 2021 წელს მიღებული რეკომენდაციების განხორციელება, რომლებიც ჯერ არ განხორციელებულა ან ნაწილობრივ განხორციელდა და ამავდროულად კვლავ აქტუალურია.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 1.2 მიზანშეწონილია სწავლის შედეგების რესტრუქტურირება, რათა ფართო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით პოტენციური აპლიკანტებისთვის უფრო ნათელი და გასაგები იყოს; მიმდინარე აღწერა ამბიციურია და მოიცავს აკადემიური ცხოვრების ყველა ასპექტს, მაგრამ მასში შეტანილი იდეები არ არის კარგად სტრუქტურირებული და შესაძლოა არ იყოს მიმზიდველი პოტენციური კანდიდატებისთვის.
- 5.1. მიზანშეწონილია გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო საფუძველი. კერძოდ, გამოირიცხოს პროგრამაზე პასუხისმგებელი პირის (პროგრამის ხელმძღვანელი) და მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირის (ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელი პირის) ფუნქციების თანხვედრა.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>**

აწსუ-სა და L'Aquila-ს (იტალია) უნივერსიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, პროგრამაში შევიდა ინგლისურენოვანი კონცენტრაცია 8 სასწავლო კურსით (60 კრედიტი), რომელსაც გაუძღვებიან პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის პროფესორები. არჩევის შემთხვევაში, სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა ორი სემესტრის განმავლობაში ისწავლოს L'Aquila-ს უნივერსიტეტში. იტალიაში „სამშენებლო კონსტრუქციების“ კონცენტრაციის კურსები ისწავლება ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტში. პროგრამის დასრულების შემდეგ, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მოხდება როგორც აკაკი

<sup>5</sup>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე L'Aquila-ს უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ საჭიროების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის დაცვა შესაძლებელია დისტანციურადაც.

გასაუბრების დროს, L'Aquila-ს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ 2020 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეთანხმების ფარგლებში ორი სტუდენტი ჩამოვიდა მათთან სასწავლებლად. გარდა ამისა, მომდევნო წლებში მათ კიდევ ოთხი სტუდენტი შეუერთდა. ორივე უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს მეტი სტუდენტი.

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**
- რეკომენდაცია 2.2:

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპერტები რეკომენდაციას უწევენ სტუდენტების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში. ამგვარად სტუდენტებს უვითარდებათ მნიშვნელოვანი უნარები სამეცნიერო კვლევებში და ღირებული გამოცდილებას იღებენ, თავიანთ სფეროში. ეს რეკომენდაცია სავალდებულოდ ითვლება და უცვლელი რჩება.

- რეკომენდაცია 4.2:

აწსუ-ში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა რამე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ახალგაზრდა თაობის, როგორც პოტენციური პერსონალის როლს. არც თანამშრომლებთან შეხვედრებზე და არც მოწოდებული თეზისების მაგალითების შესწავლისას. ასევე თვითშეფასების დოკუმენტში არ იყო გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის პროფესიული ზრდის აუცილებლობა. შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

- რეკომენდაცია 4.5:

ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ მსოფლიოს უნივერსიტეტების უმეტესობას აქვს ცენტრალიზებული ბიუჯეტი. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტებმა ვერ ნახეს რაიმე მტკიცებულება, თუ როგორ და სად უჭერდნენ მხარს დონორი ორგანიზაციები ფაკულტეტს აკადემიური გარემოსა და შესაბამისი საშუალებების გაუმჯობესებისა და განახლების მიზნით. შესაბამისად, ექსპერტები კვლავ მტკიცედ გირჩევენ გააუმჯობესოთ პოტენციურ დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის ეფექტურობა და ანგარიშში გაკეთებული რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

- რეკომენდაცია 5.1:

პროგრამის სრული შეფასების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ პროგრამის კონკრეტული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოითხოვს პერიოდულ განახლებას (მაგალითად, ცვეთა და ამორტიზაცია) და შევსებას (მაგალითად, იმ შემთხვევაში, ლაბორატორიული ექსპერიმენტებისთვის აუცილებელი მასალები), რაც შეუძლებელია შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ აუცილებელია პროგრამის კომპლექსური შეფასება - პროგრამის მდგრადობისთვის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის შესწავლა, მათ შორის პროგრამული რესურსების შენარჩუნების, განახლებისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების წინასწარი იდენტიფიცირების ჩათვლით. ეს საშუალებას მოგცემთ წინასწარ განსაზღვროთ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები და თავიდან აიცილოთ მათი შეუსაბამობა პროგრამის საჭიროებებთან. ამიტომ, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

- რეკომენდაცია 5.2:

დავიწყოთ იმით, რომ უნივერსიტეტმა არ მოგვაწოდა განახლებული ინფორმაცია 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული კონფერენციების, ტრენინგების, პროექტებისა და სხვა

აქტივობების შესახებ. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დადასტურება, რომ წინა (2021) რეკომენდაცია („უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდას, მის შენარჩუნებას და პერსონალის პროფესიულ განვითარებას“) განხორციელდა.

მეორე, სასწავლო პროგრამებსა და პროგრამის სასწავლო გეგმაში დაფიქსირებულ ჩანაწერებთან (აკადემიურ კურსზე მიღების წინაპირობები) შესაბამისობა. ეს რეკომენდაცია ეფუძნება შემდეგ გარემოებებს - იხილეთ: სასწავლო კურსების პროგრამის სასწავლო გეგმა და სილაბუსები. გამონაკლისები: "მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზა": 1) სილაბუსში - "ხის კონსტრუქციები", სასწავლო გეგმაში "ხის და კომპოზიტური კონსტრუქციები", 2) სილაბუსში „მაგისტრალის დიზაინი“, სასწავლო გეგმაში – „მაგისტრალის დიზაინი 1“, „კომპიუტერული მოდელირება სამშენებლო ინდუსტრიაში“; სილაბუსში „საავტომობილო გზების რეაბილიტაცია“, სასწავლო გეგმაში – „საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია“. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დადასტურება, რომ წინა (2021) რეკომენდაცია („სილაბუსებში გაწერილი აკადემიურ კურსზე მიღების წინაპირობები უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ჩანაწერებს“) განხორციელდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესრულებული რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ინფორმაცია სხვა რეკომენდაციების შესრულების შესახებ:

#	რეკომენდაციები	რეკომენდაციის განხორციელება
1.	რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები მკაფიოდ იყოს მითითებული სასწავლო სფეროს, კონცენტრაციის, პროგრამის შინაარსის, საერთაშორისო კომპონენტის გათვალისწინებით, რათა შემდგომში უზრუნველყოფილი იყოს მიზნების გაზომვადობა და მიღწევადობა.	რეკომენდაცია შესრულებულია. იხილეთ: პროგრამის სასწავლო გეგმა (პროგრამის მიზნები)
2.	რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს ინდივიდუალური კონცენტრაციის მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	რეკომენდაცია შესრულებულია. იხილეთ: პროგრამის სასწავლო გეგმა (პროგრამის სწავლის შედეგები)
3.	პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ინგლისური ენის B2 დონის მოთხოვნა სავალდებულო უნდა გახდეს ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი კონცენტრაციისთვის .	რეკომენდაცია შესრულებულია. იხილეთ: პროგრამის სასწავლო გეგმა ( პროგრამაზე მიღების წინაპირობები )
4.	დაცული უნდა იყოს კონცენტრაციების არჩევითობის სპეციფიკა, აგრეთვე თითოეული კონცენტრაციისთვის პროგრამული კრედიტების საერთო რაოდენობის არანაკლებ 50%-ის მოცულობა. პროგრამის სტრუქტურა ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ ადვილად გასაგები იყოს.	რეკომენდაცია შესრულებულია. იხილეთ: პროგრამის სასწავლო გეგმა (აკადემიური კურსების განაწილება სემესტრების მიხედვით)
5.	რეკომენდებულია კონცენტრაციების მოცულობის გადახედვა და მათთვის თანაბარი კრედიტების მინიჭება.	რეკომენდაცია შესრულებულია. იხილეთ: პროგრამის სასწავლო გეგმა (აკადემიური კურსების განაწილება სემესტრების მიხედვით)
6.	უნდა აღმოიფხვრას სასწავლო კურსების სილაბუსით გათვალისწინებული თემების დუბლირების პრობლემა.	რეკომენდაცია შესრულებულია იხ: აკადემიური კურსების სილაბუსი
7.	რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების კორექტირება ქულების განაწილების კუთხით.	რეკომენდაცია შესრულებულია იხილეთ: სილაბუსი- "სამაგისტრო ნაშრომი"
8.	რეკომენდებულია სასწავლო კურსის „რკინაბეტონის კონსტრუქციები“ შინაარსის შესაბამისობაში მოყვანა განათლების საფეხურთან.	რეკომენდაცია შესრულებულია. სილაბუსი -" ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები"



9.	რეკომენდებულია საგანმანათლებლო კურსების „პედაგოგის ფსიქოლოგის“ და „პედაგოგიური პრაქტიკის“ სტატუსის გადახედვა და მათი გამოყოფა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსებისაგან.	რეკომენდაცია შესრულებულია. იხილეთ: პროგრამის სასწავლო გეგმა (აკადემიური კურსების განაწილება სემესტრების მიხედვით)
10.	რეკომენდებულია, ცალკეულ კურსებში სწავლების მეთოდები შეესაბამებოდეს კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.	რეკომენდაცია შესრულებულია. იხ: აკადემიური კურსების სილაბუსი
11.	რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის საკვალიფიკაციო მოთხოვნების (სტრუქტურა, შინაარსი, შესაბამისი ლიტერატურა და აგების წესი) დაცვა.	რეკომენდაცია შესრულებულია. იხილეთ: დასრულებული სამაგისტრო ნაშრომები
12.	რეკომენდებულია რამდენიმე დოკუმენტის ჩანაწერების (უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია, დანართი 4-EP-QA 1.1) კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროს კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა.	რეკომენდაცია შესრულებულია. იხილეთ: დოკუმენტი „უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია, დანართი 4-EP-QA 1.1.
13.	რეკომენდებულია ხარისხის შიდა მონიტორინგის მექანიზმების დანერგვა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისა და პროგრამის უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად.	რეკომენდაცია შესრულებულია იხილეთ: წარმოდგენილი დოკუმენტები (სწავლის შედეგების შეფასების სქემა; სწავლის შედეგების შეფასება, 2022; პროგრამის შიდა შეფასება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ; მსგავსი პროგრამების ანალიზი; ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ანგარიშები 2020-2021, 2021-2022; კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შეფასების ანალიზი, 2021-2022; პროგრამის შეფასება სტუდენტების მიერ).
14.	უნდა განხორციელდეს სამაგისტრო ნაშრომების მონიტორინგი დაწესებულების მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.	რეკომენდაცია შესრულებულია იხილეთ: დასრულებული სამაგისტრო ნაშრომები

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

მშენებლობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები სამშენებლო ინჟინერიის სფეროში; მისცეს მაგისტრს მშენებლობის სფეროში უახლესი ტექნოლოგიების სისტემური და კომპლექსური ცოდნა. ჩამოყალიბოს სამშენებლო ობიექტების პროექტირების და მშენებლობისათვის ახალი იდეების გენერირების, სფეროს რთული, არასტანდარტული პრობლემების კვლევის და გადაჭრის უნარ-ჩვევები; მიზნები:

- კურსდამთავრებულებს , ახალი სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით, მიაწოდონ სამშენებლო ობიექტების დიზაინის, მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.
- მიაწოდოს სპეციალისტებს ცოდნა სამშენებლო მეცნიერების თანამედროვე მიღწევების შესახებ, მათ შორის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების შესახებ; მისცეს სამშენებლო სფეროს განვითარებაში წვლილის შეტანის შესაძლებლობა ზემოაღნიშნული ცოდნის გამოყენებით, მდგრადი მშენებლობის პრინციპების დაცვით და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებით.
- კურსდამთავრებულებს მისცეს საჭირო უნარ-ჩვევები შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, რომ დამოუკიდებლად წარმართონ უწყვეტი პროფესიული განვითარება, ჩაატარონ და წარადგინონ, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაფუძნებული კვლევა .

პროგრამის დაინტერესებული მხარეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი მიზნების ჩამოყალიბებაში: უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები ერთად მუშაობდნენ. ასევე გამოყენებულია საუკეთესო უცხოური პრაქტიკა, მათ შორის ბენჩმარკინგის მონაცემები, რეალური გამოცდილება და უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტების რეკომენდაციები.

უნივერსიტეტის მისიასთან პროგრამის მიზნების შესაბამისობას უზრუნველყოფს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და დარგის პროფესიონალების მხრიდან ინტერესის გაზრდა. კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა უზრუნველყოფილია, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისას, შრომის ბაზრის ტენდენციებისა და სწავლების ორიენტაციის გათვალისწინებით . პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სამშენებლო ინჟინერიაში პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარების პერსპექტივებს. შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, პროგრამა იძლევა თანამედროვე

საინფორმაციო და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ცოდნას მშენებლობაში. გარანტირებულია ახალი იდეების გენერირების უნარების ჩამოყალიბება და მათი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა სამშენებლო დიზაინში, წარმოებასა და საკონსულტაციო მომსახურებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- მსგავსი პროგრამების ანალიზი
- აწსუ-ს ვებგვერდი <https://atsu.edu.ge/ge/home>
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; [https://atsu.edu.ge/ge/strategic\\_plan](https://atsu.edu.ge/ge/strategic_plan)
- შეხვედრები უსდ-ს ხელმძღვანელობასთან და აკადემიურ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი**

**პროგრამის სწავლის შედეგები:**

1. კრიტიკულად გაიაზრებს სამშენებლო ამოცანების გადაჭრის ფუნდამენტალურ და გამოყენებით თეორიებს;
2. აანალიზებს სამშენებლო სფეროს ახალ ცოდნასა და ტექნოლოგიებს და აკავშირებს მათ კონკრეტული ამოცანის კვლევის პროცესთან.
3. არსებული მეთოდებით და მათი ახლებურად ინტერპრეტირების გზით, გაიანგარიშებს და აპროექტებს შენობებს და ნაგებობებს, გეგმავს მშენებლობის პროცესს ცნობილი მეთოდების გამოყენებით. შეარჩევს

პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ ვარიანტს, შეიმუშავებს  
საპროექტო დოკუმენტაციას

4. პროფესიულ საქმიანობაში აქტიურად იყენებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.
5. იკვლევს კონსტრუქციების და შენობა-ნაგებობების სამშენებლო თვისებებს ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების მეთოდების გამოყენებით;
6. აწარმოებს კვლევით საქმიანობას პროფესიული ეთიკის დაცვით. წარადგენს კვლევების შედეგებს პროფესიულ და აკადემიურ გარემოში.
7. სწავლის შედეგების და შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს კვალიფიკაციის ამაღლების და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების აუცილებლობას და შესაძლებლობას.
8. ითვალისწინებს ტექნოგენური საშიშროების საკითხებს პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას.

კონცენტრაცია - სამშენებლო კონსტრუქციები

9. სხვადასხვა ფორმის, დანიშნულების, მასალისა და სამუშაო პირობების სამშენებლო კონსტრუქციების დაპროექტება.
10. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, სამშენებლო კონსტრუქციების წარმოების პროცესის დაგეგმვა და მათი გამოყენება სამშენებლო პროცესში.

კონცენტრაცია- საავტომობილო გზები

11. სხვადასხვა დანიშნულების, სამშენებლო თვისებების და სამუშაო პირობების საავტომობილო გზების დაპროექტება.
12. სხვადასხვა საექსპლუატაციო პირობებისთვის, მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით, ახალი საგზაო ნაგებობების მშენებლობისა და არსებული გზების რეაბილიტაციის პროცესის დაგეგმვა.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია და რეალურად ასახავს მაგისტრანტების მიერ შეძენილ ცოდნას და უნარებს. სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება შემდეგს:

- პროგრამის მიზნები - სწავლის შედეგები მიუთითებს სამშენებლო ინჟინერიის სფეროში უახლესი ტექნოლოგიების შესახებ სისტემურ და ყოვლისმომცველ ცოდნაზე, მშენებლობის სფეროში ახალი იდეების გენერირებასა და დარგში არსებული რთული, არასტანდარტული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის უნარის განვითარებაზე.
- პროგრამის სასწავლო და სწავლის დეტალური სფეროს მოთხოვნები - პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულ სპეციალისტებს ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და უნარები საჯარო, კომერციული, სამრეწველო და საცხოვრებელი შენობებისა და სატრანსპორტო სისტემების დაგეგმვის, დაპროექტების, მონტაჟის, მშენებლობის, ტესტირებისა და მოვლა-პატრონობის მაღალტექნოლოგიურ დონეზე მართვისთვის.
- საგანმანათლებლო საფეხურის აღმწერის მოთხოვნები - სწავლის შედეგების მიხედვით, მაგისტრანტებს მოეთხოვებათ დარგის სიღრმისეული, სისტემატური ცოდნა, კრიტიკული გაგება, დარგის ზოგიერთი უახლესი მიღწევების გამოყენებისა და ინოვაციის ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების უნარი; კვლევის ჩატარება დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა და აკადემიური ეთიკის სტანდარტები; კვალიფიკაციის ამაღლებისა და განათლების გაგრძელების საჭიროებისა და პერსპექტივის განსაზღვრა.

- შრომის ბაზრის მოთხოვნები - პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაციისას გამოყენებულია შრომის ბაზრის, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ახალი კვლევების შედეგები. შედეგების შინაარსი შესაბამისად არის მორგებული. სწავლის შედეგები დამატებულია კონცენტრაციის მიხედვით სამშენებლო კონსტრუქციებისთვის და საავტომობილო გზებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთკავშირის რუკა
- შეხვედრები/ინტერვიუები აწსუ-ში ვიზიტის დროს

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილია სწავლის შედეგების რესტრუქტურირება, რათა ფართო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით პოტენციური აპლიკანტებისთვის უფრო ნათელი და გასაგები იყოს; მიმდინარე აღწერა ამბიციურია და მოიცავს აკადემიური ცხოვრების ყველა ასპექტს, მაგრამ მასში შეტანილი იდეები არ არის კარგად სტრუქტურირებული და შესაძლოა არ იყოს მიმზიდველი პოტენციური კანდიდატებისთვის.

- შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულებამ შეიმუშავა დოკუმენტი "პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2)", რომლის მიხედვითაც პროგრამის შეფასების მექანიზმი მოიცავს შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს (მაგალითად, სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვა; ანალიზი. კურსდამთავრებულთა დასაქმება, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი და

ა.შ.). პროგრამის შესაფასებლად გამოიყენება წინასწარ მომზადებული კითხვარები, რომლებშიც დაინტერესებული პირები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) აფიქსირებენ თავიანთ აზრს. ასევე, შემუშავდა რამდენიმე რუკა პროგრამის შინაარსის, მიზნებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების გასაანალიზებლად.

პროგრამის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად ითვლება მიზნებსა და შედეგებს შორის შესაბამისობის, ასევე მათი მიღწევის შესაძლებლობის დადასტურება. პროგრამის სწავლის შედეგებისა და ამოცანების თანხვედრა ილუსტრირებულია შესაბამისობის რუკაზე (იხ. დანართი „მიზნები და შედეგების რუკა“). ასევე, არსებობს რუკა, სადაც მითითებულია, რომელი სასწავლო კურსი/კომპონენტი უზრუნველყოფს სწავლის შედეგს სამ პროგრესულ საფეხურზე - 1. გაცნობა; 2- გაღრმავება; 3 - განტმკიცება. (იხ. დანართი „სასწავლო გეგმის რუკა“).

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მექანიზმი მოიცავს პროგრამის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას და მათი მიღწევის პროგრესის მონიტორინგს. პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შემუშავებულია პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი - პროგრამის თითოეული შედეგისთვის სამიზნე ნიშნულის დადგენა და შედეგების მათთან შედარება. ამ მექანიზმის თავისებურებები მითითებულია დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასების სქემა“, რომელშიც თითოეული პროგრამის შედეგისთვის არის შეფასების რუბრიკა (პროგრამის კომპონენტი, რომელიც მონაწილეობს პროგრამის შედეგის ფორმირებაში) და მიზანი (ქულა და სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც ამ სამიზნე ნიშნულს აღწევენ). ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, შეფასება არის პროცესი, რომელიც განსაზღვრავს, რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა პროგრამის სწავლის შედეგებს და როგორ შეიძლება პროგრამის გაუმჯობესება. პროგრამის ყველა სწავლის შედეგი უნდა შეფასდეს პროგრამის ბოლოს, როდესაც ეს მონაცემები გაანალიზდება და დადარდება სამიზნე ნიშნულებთან. დასაშვები ცდომილება არის 10%. შეფასების შედეგები ექვემდებარება შესწავლას და ანალიზს, რის საფუძველზეც შემუშავდება რეაგირების მექანიზმები და რეკომენდაციები, სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სამიზნე ნიშნულებთან შედარება პროგრამის მთელი ციკლის (2 წლის) დასრულების შემდეგ მოხდება. ამასთან, სტუდენტების აკადემიური მოსწრება ექვემდებარება ყოველწლიურ განხილვას (ამ მექანიზმის გამოყენება დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით „სწავლის შედეგების შეფასება, 2022 წ.“).

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მექანიზმები. გარდა ამისა, დაწესებულების მიერ წარდგენილმა დოკუმენტაციამ, გასაუბრების შედეგებმა და ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა, ერთად განაპირობა სტანდარტის ამ კომპონენტის შეფასება, როგორც „შეესაბამება მოთხოვნებს“.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- " პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2)";
- მიზნებისა და შედეგების რუკა (პროგრამის დანართი);
- სასწავლო გეგმის რუკა (პროგრამის დანართი);
- „სწავლის შედეგების შეფასების სქემა“ ;
- გასაუბრების შედეგები.

#### **რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

#### **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია ამჟამად მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის (EP-QA) შესაბამისად. ეს პოლიტიკა ეფუძნება აკადემიური საბჭოს დადგენილებას (2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18)) და დადგენილება №39-ს( 20/21, 15.07.2021წ.). EP-QA დოკუმენტი ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების სახელმძღვანელო პრინციპებს (EP-QA 1.1), ასევე პროგრამის შეფასების პროცედურას (EP-QA 1.2). სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“ შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით, რომელიც მოიცავს ისეთ პროცედურებს, როგორცაა EP-QA 1.1, EP-QA 1.2 და EP-QA 1.3. ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანია შექმნას ჩარჩო ახალი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაქმნელად, შემუშავებისა და დამტკიცებისთვის, და იმავდროულად განსაზღვროს ამ პროცედურების ძირითადი მოთხოვნები და ამ პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ასევე გულისხმობს არსებული აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრას, ამ ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენას და განხორციელების გზების განსაზღვრას. გარდა ამისა, პოლიტიკა გულისხმობს მიმდინარე აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაფასებლად საჭირო აქტივობების, ღონისძიებების, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების იდენტიფიცირებას, ამ შეფასების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების დადგენას და იმის განსაზღვრავს თუ როგორ განხორციელდეს ეს აქტივობები და ღონისძიებები.

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი სავალდებულო კურსები - 25 კრედიტი.
- არჩევითი კონცენტრაციები:
  1. კონცენტრაცია – სამშენებლო კონსტრუქციები (ქართული ენა) – 90 კრედიტი.
  2. კონცენტრაცია - საავტომობილო გზები - 90 კრედიტი.
  3. კონცენტრაცია – სამშენებლო კონსტრუქციები (ინგლისურენოვანი) – 90 კრედიტი.
- თავისუფალი კომპონენტი - 5 კრედიტი.

მესამე სემესტრში სტუდენტი ვალდებული იქნება შეისწავლოს სავალდებულო კურსები, რომლებიც შეესაბამება მათი ძირითადი სასწავლო დარგის შინაარსს. მეორეს მხრივ, არჩევითი კონცენტრაციები შეისწავლება პირველ, მეორე და მესამე სემესტრებში. მესამე სემესტრის განმავლობაში სტუდენტის ყურადღება გამახვილდება მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე და დაცვაზე.

პროგრამა გთავაზობთ ინგლისურენოვან კონცენტრაციას სახელწოდებით "სამშენებლო კონსტრუქციები" აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და L'Aquila-ს უნივერსიტეტს შორის არსებულ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით. ეს კონცენტრაცია მოიცავს 8 სასწავლო კურსს (60 კრედიტი), რომელსაც გაუძღვებიან პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის პროფესორები. კურსების ჩამონათვალი ასეთია: - უწყვეტი გარემოს მექანიკა; მყარი სხეულები და სითხეები; ხის კონსტრუქციები; კონსტრუქციების მდგრადობა და ბიფურკაცია; ფირფიტების და გარსების მექანიკა; გამოთვლითი სამშენებლო მექანიკა; დისკრეტული და უწყვეტი მოდელები მექანიკაში; ღია კალაპოტები და ჰიდროტექნიკური ნაგებობები; ინგლისური, როგორც უცხო ენა. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ „სამშენებლო კონსტრუქციების“ კონცენტრაციის სასწავლო კურსები ისწავლება იტალიის L'Aquila უნივერსიტეტში, პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტში. პროგრამის დასრულების შემდეგ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მოხდება როგორც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე L'Aquila-ს უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ საჭიროების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის დაცვა შესაძლებელია დისტანციურადაც.

"საავტომობილო გზების" კონცენტრაცია სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო კურსებს, როგორცაა -საგზაო სამშენებლო მასალები; საგზაო მანქანები; საავტომობილო გზების პროექტირება; საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია; საავტომობილო გზების მშენებლობა რთულ გეოლოგიურ და კლიმატურ პირობებში; კომპიუტერული მოდელირება სამშენებლო ინდუსტრიაში; ტექნიკური თარგმანი; სამაგისტრო ნაშრომი.

სამშენებლო კონსტრუქციების მიმართულება (ქართული) სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო კურსებს, როგორცაა - ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები; ხის და კომპოზიტების კონსტრუქციები; ნაგებობების დინამიკა; და ლითონის კონსტრუქციები; კომპიუტერული მოდელირება სამშენებლო ინდუსტრიაში; ძაბვები და დეფორმაციები შედუღებულ კონსტრუქციებში; ღია კალაპოტების ჰიდრავლიკა; სამაგისტრო ნაშრომი.

სამივე კონცენტრაციის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი მზადდება და მისი საჯარო დაცვა ხდება მეოთხე სემესტრში.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ თავისუფალი კომპონენტი (5 კრედიტი), რომელიც შეესაბამება მათი ძირითადი სასწავლო დარგის შინაარსს. ხელმისაწვდომი ვარიანტები მოიცავს მათემატიკის სპეციალურ თავებს, თეორიული მექანიკის სპეციალურ თავებს, მათემატიკურ მოდელირებას ინჟინერიაში, პედაგოგიურ ფსიქოლოგიას, სამშენებლო ლოჯისტიკას და სამშენებლო მენეჯმენტს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები:

- პროგრამის მიზანი
- პროგრამის წინაპირობები
- პროგრამის ანალოგები
- სწავლების მეთოდები
- პროგრამის მიზანი



- სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები).
- სწავლების მეთოდები.
- პროგრამის სტრუქტურა
- სასწავლო გეგმა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი.

პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- o სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა " მშენებლობა ".
- o კურიკულუმის რუკა;
- o ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა.
- o გასაუბრების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- o არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.5. სასწავლო კურსი/საგანი**

- > სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- > ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- > სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის აკადემიური კურსები შემუშავებულია წინა სააკრედიტაციო მოთხოვნებითა და აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილი წესით.

განვითარების გუნდმა კიდევ უფრო მკაფიოდ დააკონკრეტა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო გეგმის რუკა, რის საფუძველზეც განისაზღვრა კავშირი სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებსა და აქტივობებს შორის. განისაზღვრა სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი. განისაზღვრა შესასრულებელი აკადემიური სამუშაოს მოცულობა და განისაზღვრა კურსის კრედიტების რაოდენობა.

პროგრამით გათვალისწინებული კურსების მიზნები და შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს და იძლევა კვალიფიკაციის შესაბამისი დონის ცოდნასა და კომპეტენციას, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკულ საქმიანობაზე და უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებაზე.

სასწავლო კურსი აღწერილია სილაბუსში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის მიმწოდებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლის/სწავლების მეთოდები, საგანმანათლებლო რესურსები, კურსის შინაარსი და ა.შ. კურსის სილაბუსში დეტალურად არის აღწერილი სტუდენტების შეფასების ფორმები, მეთოდები, მითითებულია კურსის შესასწავლად რეკომენდებული სავალდებულო და თავისუფალი არჩევითი ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ბეჭდური ან/და ელექტრონული ფორმით. ლიტერატურაზე წვდომა შესაძლებელია როგორც უშუალოდ ბიბლიოთეკაში, ასევე ბიბლიოთეკის ვებგვერდის გამოყენებით, დისტანციურად. სტუდენტებს შეუძლიათ დაჯავშნონ როგორც სასურველი ლიტერატურა, ასევე სამუშაო ადგილი. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა ეფუძნება სასწავლო სფეროს მიმდინარე მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების სრულ მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სამაგისტრო პროგრამა და სასწავლო კურსის სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- ბიბლიოთეკა - <https://library.atsu.edu/ge/ge/home>
- ხელშეკრულებები პარტნიორ უნივერსიტეტებთან;

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო დაწესებულებამ თავის სასწავლო გეგმაში ჩამოაყალიბა პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები. ეს პირობები განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც პირები უნდა აკმაყოფილებდნენ, პროგრამაზე ჩასარიცხად.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების (საერთო სამაგისტრო გამოცდა და აწსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები) შედეგების საფუძველზე.

პროგრამაში ჩარიცხვის მოთხოვნები:

- სპეციალობის გამოცდის ჩაბარება (გამოცდა უნდა იყოს წერილობითი და მოიცავს 30 დახურულ და 10 ღია კითხვას მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის პროფილის კურსებიდან. ჯამური ქულა არის 100 ქულა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 51 ქულა);
- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (დადასტურებული: ბაკალავრის დიპლომის დანართში ინგლისური ენის მინიმუმ 20 კრედიტის დაუფლებით ან აწსუ-ში გამოცდის ჩაბარებით ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის/დოკუმენტის წარდგენით).

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ჩატარების წესს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი განსაზღვრავს.

გარდა აღნიშნულისა, პროგრამაში ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. პროგრამაში ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით, რაც რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის No10/ნ ბრძანებით - „ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მეორე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის პროცედურისა და საფასურის დამტკიცების

შესახებ“ და აკადემიური საბჭოს No. 67 (21/22), 23.07.2022) რეზოლუციით „ მიღებული განათლების მიღების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციისა და აღიარების პროცედურის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო ზომები, რათა მისაღები პროცედურები იყოს სათანადო, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. ეს ღონისძიებები მიზნად ისახავს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- o სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“.
- o უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის No12 (17/18) დადგენილება „მიღებული განათლების მიღების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციისა და აღიარების პროცედურის შესახებ“.
- o უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- o უნივერსიტეტის ვებგვერდი: [www.atsu.edu.ge](http://www.atsu.edu.ge)
- o ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- o არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაში აქცენტი კეთდება სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების

განვითარებაზე. მათ აღნიშნეს, რომ პროგრამას აქვს კარგად სტრუქტურირებული სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ კვლევებს, რათა დაეხმაროს სტუდენტებს შეიძინონ პრაქტიკული და კვლევითი უნარები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში პრაქტიკულ და ლაბორატორიულ გაკვეთილებს ატარებენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები, კვალიფიციური პროფესორები და ლაბორანტები. პროფესორები და ასისტენტები ხელმძღვანელობენ და მეთვალყურეობას უწევენ სტუდენტებს ამ გაკვეთილების განმავლობაში, რათა სტუდენტებმა მიიღონ საჭირო პრაქტიკული გამოცდილება და ცოდნა.

როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრისას აღინიშნა, უნივერსიტეტს რამდენიმე ორგანიზაციასთან აქვს გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ კვლევითი პრაქტიკა. ეს აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის სფეროებში და გამოიყენონ სწავლის დროს მიღებული ცოდნა რეალურ სიტუაციებში.

გასაუბრების დროს, L'Aquila-ს უნივერსიტეტის (იტალია) წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ 2020 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეთანხმების ფარგლებში ორი სტუდენტი ჩავიდა სასწავლებლად. გარდა ამისა, მომდევნო წლებში მათ კიდევ ოთხი სტუდენტი შეუერთდა. წარმომადგენლების თქმით, მათი პარტნიორობა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჯერ კიდევ გრძელდება და უახლოეს წლებში L'Aquila-ს უნივერსიტეტში მეტი სტუდენტის გაგზავნას გეგმავენ. L'Aquila-ს უნივერსიტეტი სრულად დააფინანსებს სტუდენტებს, დაფარავს მათი საცხოვრებლის, კვებისა და მგზავრობის ხარჯებს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს ყოველწლიურად 10-მდე სტუდენტის მიღება შეუძლია და მათ ყველა ხარჯს L'Aquila -ს უნივერსიტეტი დაფარავს. როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრისას აღინიშნა, შარშან ქართველი სტუდენტები სხვა ქალაქებში გაგზავნეს ინდუსტრიის კონფერენციაზე დასასწრებად, რათა გაცნობოდნენ ინდუსტრიის უახლეს მოვლენებს. ეს სტუდენტებმაც დაადასტურეს. წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ უახლოეს მომავალში გეგმავენ ორ უნივერსიტეტს შორის ერთობლივი კონფერენციის მოწყობას.

როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრისას აღინიშნა, პროფესორები ზრუნავენ სტუდენტების სხვადასხვა საგრანტო და კვლევით პროექტებში ჩართვაზე. ეს აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება და გამოიყენონ სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნა. პროფესორები ასევე უწევენ ხელმძღვანელობას და მენტორობას სტუდენტებს ამ პროექტების დროს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში, კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა განისაზღვრება, როგორც გასაუმჯობესებელი მხარე. დაწესებულება გეგმავს შიდა საგრანტო პროექტების განხორციელებას, ლაბორატორიების განახლებას.

საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს კურსების მთელ სპექტრს, მათ შორის სამეცნიერო წერის საფუძვლებს, ექსპერიმენტების დაგეგმვასა და ანალიზს, კვლევის პრაქტიკას, კომპიუტერული მოდელირების კურსებს და სამაგისტრო ნაშრომს. აღნიშნული საგნების სწავლების მიზანია სტუდენტს მისცეს ექსპერიმენტის დაგეგმვის, კვლევის მომზადების, ექსპერიმენტული გაზომვების ჩატარების, მიღებული შედეგების დამუშავების, ანალიზისა და დასკვნების გამოტანის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ასევე, სტუდენტს მიეცა ცოდნა სამეცნიერო კვლევის თეორიული საფუძვლებისა და კვლევის ჩატარების აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ხდება

დარგის აქტუალური საკითხის შესწავლა და კომისიისთვის შედეგების წარდგენა . ეს საკითხი ავითარებს სტუდენტების პრაქტიკულ და კვლევით უნარებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავების მიზნით, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ კვლევებს. ეს კვლევები ძირითადად ტარდება უნივერსიტეტის ბაზაზე და სტუდენტებს ხელმძღვანელობენ და მეთვალყურეობენ კვალიფიციური პროფესორები და ლაბორანტები, რომლებიც დარგის სპეციალისტები არიან. ამასთან, გასაუბრებისას აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სადაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კვლევითი პრაქტიკის ჩატარება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შევსებული კითხვარების გაანალიზების შემდეგ დადგინდა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 18% თვლის, რომ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობა ლაბორატორიების განახლებაა. გარდა ამისა, გამოკითხულ სტუდენტთა 12%-ს მიაჩნია, რომ პრაქტიკული მეცადინეობების გაზრდა მათში უფრო მეტ ინტერესს გამოიწვევს. კითხვაზე, იძლევა თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკული უნარების განვითარებას, გამოკითხულთა 95%-მა დადებითი პასუხი გასცა. უფრო მეტიც, დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კულტურულ და შემეცნებით აქტივობებში, როგორცაა ბრენ-რინგი და "რა? სად? როდის?" და სხვა სოციალური პროექტები.

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ინდუსტრიულ ორგანიზაციებთან.
- სტუდენტების სამეცნიერო და სოციალური საქმიანობა;
- გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები;
- L'Aquila უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;
- შეთანხმება L'Aquila უნივერსიტეტთან.

#### **რეკომენდაციები:**

- გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში.

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ ეხება

#### **შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასწავლო გეგმა აღწერს მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა სიტყვიერი ან ზეპირი მეთოდები, როგორცაა თხრობა, ლექციები, სემინარები და ევრისტიკული (კითხვა-პასუხი) მეთოდები, ასევე წიგნზე მუშაობა, წერილობითი სამუშაო, ლაბორატორიული და საჩვენებელი მეთოდები. გარდა ზემოთ აღნიშნული სწავლების მეთოდებისა, პროგრამა ასევე იყენებს სხვა მეთოდებს, როგორცაა ინდუქცია, დედუქცია, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, მოქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობითი სწავლა. ეს მეთოდები საგულდაგულოდ არის შერჩეული და გამოყენებული, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევა.

სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების შესაბამისი აქტივობები შეიძლება განსხვავდებოდეს თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. ეს მეთოდები აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამაში (სილაბუსებში) და შეიძლება მოიცავდეს დისკუსიას/დებატებს, თანამშრომლობით სწავლებას, ჯგუფურ მუშაობას და საჩვენებელ მეთოდს. ეს მეთოდები საგულდაგულოდ არის შერჩეული, რათა უზრუნველყოფილ იქნას თითოეული კურსის სწავლის შედეგების მაქსიმალურად ეფექტური გზით მიღწევა. სწავლა-სწავლების პროცესში პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების მისაღწევად სხვადასხვა მეთოდებს, მათ შორის ინდუქციურ და დედუქციურ მეთოდებს, სინთეზისა და ანალიზის მეთოდებს, ვერბალურ და წერილობით სამუშაოს, ლაბორატორიულ მეთოდებს, პრაქტიკულ მეთოდებს, ახსნა-განმარტებით და საჩვენებელ მეთოდებს. ეს მეთოდები შეირჩევა თითოეული კურსის სპეციფიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე და აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამაში (სილაბუსებში). პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტებისთვის სრულყოფილი და ეფექტური სასწავლო გამოცდილება შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით.

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.



**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“.
- საგნის სილაბუსი.
- პროფესორებთან გასაუბრების შედეგები.
- პროგრამის მენეჯერთან გასაუბრების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.4. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სტუდენტების შეფასების სქემა რეალისტური და მიღწევადია, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშით (SER), პროგრამითა და სილაბუსებში და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებებით. შეფასების სისტემა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. თითოეული კურსის ფარგლებში წარმოდგენილია და ყველა სილაბუსში გაწერილია სტუდენტის შეფასების ინდივიდუალური მეთოდები, ფორმები და კომპონენტები, და კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებითა და რუბრიკებით მიღწეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება.

დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა, მეთოდები და ფორმები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას და ითვალისწინებს შემდეგ სქემას:

ა. ხუთი ტიპის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ბ. ორი სახის უარყოფითი შეფასება:



(FX) სტუდენტმა ვერ ჩააბარა გამოცდა – 41-50 ქულა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მოეთხოვება მეტი იმუშაოს გამოცდის ჩასაბარებლად და რომ მას ინდივიდუალური მუშაობის შემდეგ მხოლოდ ერთხელ აქვს გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება;

(F) ვერ ჩააბარა -40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან უნდა გაიმეოროს კურსი.

კურსში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განსაზღვრულია შესაბამის სილაბუსში.

სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა:

- ნაშრომის საჯარო განხილვა კათედრაზე, სადაც მაგისტრანტი წარადგენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ. საჯარო განხილვისთვის მზადდება კათედრის სხდომის ოქმი.
- სამაგისტრო ნაშრომი პლაგიატზე მოწმდება შესაბამის დეპარტამენტში წინასწარი განხილვის შემდეგ, უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით განსაზღვრული პირობებით. კათედრის სხდომის ოქმი და განცხადება სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ გადაეცემა დეკანს.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთხელ (საბოლოო შეფასებით) შემდეგი კრიტერიუმებით:

საბოლოო შეფასება განხორციელდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს: შეფასების კრიტერიუმებს	შეფასების მაქსიმალური ქულა თითოეული კრიტერიუმისთვის
პრობლემის აქტუალობა _	20
პრობლემის გადაჭრის მეთოდების ეფექტურობა და სიახლე	30
ფორმატირების სტანდარტებთან შესაბამისობა	10
კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი	20
პასუხები კითხვებზე და რეკომენდაციებზე	10
საპრეზენტაციო მასალა	10

### შეფასების კომპონენტები

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კომპონენტები და კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. აწსუ-ში შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და მრავალკომპონენტია. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში. სტუდენტები პროგრესის შესახებ უკუკავშირს მასწავლებლებისგან იღებენ სწავლის ყველა დონეზე.

გასაუბრებისას სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათი შეფასება ეფუძნება ობიექტურობასა და გამჭვირვალეობას. ხოლო კითხვების ან გაუგებრობის შემთხვევაში, მათ საშუალება აქვთ გაეცნონ თავიანთ ნაწერებს ან საგამოცდო ნაშრომებს და მიიღონ პასუხები პროფესორების/აკადემიური პერსონალისგან და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივრონ შეფასება. მაგისტრანტს უფლება აქვს გააპროტესტოს ნაშრომის დაცვის კომისიის გადაწყვეტილება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. მან შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს დაცვის კომისიის თავმჯდომარეს. თუ მაგისტრანტის საჩივარი გამართლდა, სააპელაციო განცხადება განსახილველად წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ქმნის სააპელაციო კომისიას, რომელიც შედგება არანაკლებ სამი ადამიანისგან, რომლებიც

ახორციელებენ დარგის შესაბამის სასწავლო კომპონენტებს და რომელთაგან არცერთი არ მონაწილეობდა სამაგისტრო ნაშრომის პირველად შეფასებაში. სააპელაციო კომისია იღებს შემდეგი სახის გადაწყვეტილებას:

- სამაგისტრო ნაშრომის კომისიაში დაბრუნებისა და ხელახალი გამოცდის შესახებ;
- მიღებული შეფასების დატოვების შესახებ;
- სააპელაციო განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, დაუსაბუთებელი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

სააპელაციო კომისია ვალდებულია წერილობით დაასაბუთოს გადაწყვეტილება. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება მაქსიმუმ 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს მაგისტრანტს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- დადგენილება No6 (22/23) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ (შესწორება აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის No5 (17/18) დადგენილებაში)
- აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის No10 (17/18) დადგენილებით დამტკიცებული გამოცდების გასაჩივრების წესი.
- პროგრამა და სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა**

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ-ს აქვს სხვადასხვა სტუდენტური სერვისები, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტების განვითარებასა და დამხმარე აქტივობებზე. სტუდენტები ჩართულნი არიან უსდ-ს ყოველდღიურ ცხოვრებაში. თვითშეფასების ანგარიშიდან და ადგილზე ვიზიტიდან მივიღეთ ინფორმაცია, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები ჩართულნი იყვნენ პროგრამის განვითარებაში. ინტერვიუებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი პროგრამის შეფასების პროცესში სხვადასხვა გზით იყვნენ ჩართულნი, როგორცაა: აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება, პროგრამის სტრუქტურა, ადმინისტრაცია და ა.შ. შეფასების ჯგუფმა შეძლო შეემოწმებინა ელექტრონული პლატფორმა (LMS), სადაც სტუდენტები იღებენ ამ კითხვარებს თავიანთი პროფესორების/აკადემიური პერსონალის შესაფასებლად. სტუდენტები ასევე იღებენ სემესტრის განრიგს, ამოწმებენ სწავლის პროგრესს და იყენებენ მას ადმინისტრაციასთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციის საშუალებად.

უსდ-ში ინტეგრაციის პროცესის დასახმარებლად აწსუ-ში სტუდენტური ცხოვრების დასაწყისში სტუდენტებს აქვთ საორიენტაციო შეხვედრა, სადაც ისინი ეცნობიან უნივერსიტეტის რეგულაციებსა და პროგრამას. ადვილი კომუნიკაციისათვის თითოეულ სტუდენტს აქვს ანგარიში „ელექტრონულ დეკანატში“, სადაც მათ შეუძლიათ გაგზავნონ და მიიღონ ინფორმაცია სასწავლო პროცესთან და კლასგარეშე აქტივობებთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ.

უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტების მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური. აღნიშნული სამსახური მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

- სტუდენტური განცხადებების ელექტრონული მსვლელობის ორგანიზება;
- სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშეწყობა;
- სტუდენტთა ომბუდსმენი;
- სტუდენტთა ფსიქოთერაპევტი;
- აწსუ-ის კურსდამთავრებულთა ქსელი.

2014 წლიდან უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის ფარგლებში ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- შრომის ბაზარზე ვაკანსიების მუდმივი მონიტორინგი და სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვა ურთიერთთანამშრომლობისთვის;
- დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა და ორგანიზება;

- სტუდენტებისა და დამსაქმებლების დაახლოების და მათ შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა წამახალისებელი თუ საინფორმაციო ღონისძიებების, დამსაქმებლებთან შეხვედრების მოწყობა;
- კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური სასწავლო კურსების ორგანიზება;
- შშმ სტუდენტების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვა) ფინანსური დახმარება და დასაქმების ხელშეწყობა;
- სტუდენტების კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობი სემინარების ჩატარება (CV-ის შედგენა, სამოტივაციო წერილის დაწერა, გასაუბრებისათვის მოსამზადებელი კონსულტაცია).

გარდა სასწავლო პროცესებისა, სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა პროექტებში, სპორტულ აქტივობებში, ექსკურსიებში.

სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა ორმაგი ხარისხის პროგრამაში ლ'აკვილას უნივერსიტეტთან (იტალია). პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო და/ან კვლევით კომპონენტებს. სტუდენტებს შეუძლიათ ისწავლონ ერთი წელი იტალიაში, მეორე კურსი დაასრულონ საქართველოში და ნაშრომის დაცვის შემდეგ მიიღონ ორი დიპლომი ორივე უნივერსიტეტიდან. ჩვენს ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გასაუბრებოდა ამ პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ხელშეწყობი სამსახურების დებულებები; სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ([atsu.edu.ge](https://atsu.edu.ge))
- სტუდენტების მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური [https://atsu.edu.ge/ge/office/11-student\\_services](https://atsu.edu.ge/ge/office/11-student_services).
- პროგრამა და სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებს და დოქტორანტებს

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.

- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ზედამხედველობა.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (აწსუ) შეიმუშავა დებულება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ, დებულება, რომელიც არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ყველა დეტალს. წესი ასევე აღწერს ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციებსა და მოვალეობებს. თითოეულ მაგისტრანტს გამოეყოფა კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს შესასწავლი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სწავლების დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა (შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე) პროგრამის პერსონალი წარუდგენს სამაგისტრო ნაშრომის შემოთავაზებულ თემას პროგრამის ხელმძღვანელს. ხელმძღვანელს აქვს რეგულარული კონსულტაციები სტუდენტთან. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია სტუდენტების საჭიროებებზე. ამ პროცესში სტუდენტი იღებს რჩევებს კვლევის თემებზე, მეთოდოლოგიაზე, ნაშრომის დაწერისა და პრეზენტაციის მომზადებისადმი მოთხოვნებსა და სპეციფიკაზე.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი (საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი) შეიძლება იყოს აწსუ-ს აკადემიური პერსონალი - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუსი. ნაშრომის ხელმძღვანელი ასევე შეიძლება იყოს სხვა უნივერსიტეტიდან ან სხვა დაწესებულებიდან შესაბამისი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე მოწვეული ლექტორი. ერთ ადამიანს შეუძლია ერთდროულად უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს.

ნაშრომის დაცვამდე სტუდენტებმა უნდა ატვირთონ დისერტაცია Moodle სისტემაში და IT სერვისი გადაამოწმებს მას პლაგიატთან დაკავშირებით სპეციალური პროგრამით Turnitin-ით. პლაგიატიზმი აკრძალულია, ხოლო თუ ტექსტის დამთხვევა არ აღემატება 20%-ს, სტუდენტს ეძლევა ნაშრომის დაცვის უფლება. თუ შედეგი 20%-დან 40%-მდეა სტუდენტს ეძლევა კიდევ ერთი სემესტრი ნაშრომის გამოსასწორებლად და თუ დამთხვევა 40%-ს აღემატება სტუდენტს ეძლევა კიდევ ერთი წელი ნაშრომის ხელახლა დასაწერად.

სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს შედეგი ნაშრომის შეფასებიდან 5 დღის ვადაში.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	21
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	15
თანაფარდობა	7/5

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების პროცედურა.

- პროგრამა და სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა**

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>	<b>4.</b>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>	
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>	
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>	

**სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა**

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

**4.1. ადამიანური რესურსები**

➤ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ/სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ასევე შესაბამისი კომპეტენციები პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების კვალიფიკაცია აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას და შეესაბამება შესაბამის კანონმდებლობას. სამაგისტრო პროგრამა სულ 9 პროფესორის მონაწილეობით მიმდინარეობს. მათგან 6 ლ'აკვილას უნივერსიტეტიდანაა, 13 ასოცირებული პროფესორია და 2 მოწვეული პერსონალი. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებაში მთავარ როლს ასრულებს აკადემიური პერსონალი. უფრო მეტიც, უზრუნველყოფილია ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი <sup>6</sup>	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი <sup>7</sup>	მათ შორის ავილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	24	17	11	16
- პროფესორი	9	9	3	3
- ასოცირებული პროფესორი	13	8	8	13
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	2	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	9	9	3	16

რამდენიმე პროფესორის პირადი საკმეები მიუთითებს, რომ მათი ნაშრომები გამოქვეყნებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება იტალიის ლ'აკვილას უნივერსიტეტთან. ხელშეკრულების თანახმად, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ევროპული პარტნიორი უნივერსიტეტის ექვსი პროფესორი. ამ უცხოელ პროფესორებს აქვთ განსაკუთრებით მდიდარი სამეცნიერო კვლევითი და პროფესიული გამოცდილება. ამ უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში ხელს შეუწყობს ქართული და ევროპული მიდგომების შედარებას, ასევე პროგრამის ევროპეიზაციას. ენობრივი ბარიერის დასაძლევად პროგრამა მოიცავს როგორც დარგობრივ ინგლისურს, ასევე ინგლისურენოვან სასწავლო კურსებს და უკვე შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომის ინგლისურ ენაზე დაცვა.

<sup>6</sup> ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

<sup>7</sup> ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

ამ უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში ხელს შეუწყობს ქართული და ევროპული მიდგომების შედარებას, ასევე პროგრამის ევროპეიზაციას. ენობრივი ბარიერის დასაძლევად პროგრამა მოიცავს როგორც დარგობრივ ინგლისურს, ასევე ინგლისურენოვან სასწავლო კურსებს და უკვე შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომის ინგლისურ ენაზე დაცვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას უძღვება დარგის კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა და პროგრამის შემუშავების მდიდარი გამოცდილება. როგორც დოკუმენტაციის, ისე გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარებასა (მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებაში, ამზადებს სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებისათვის და ა.შ.) და სხვა აქტივობებში (სხვადასხვა პროფესიულ სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა, სტაჟირება და ა.შ.), უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესებში. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი ასრულებს ადმინისტრაციულ ფუნქციას და ჩართულია პროგრამის შეფასებასა და სტუდენტთა კონსულტირებაში. საინტერესოა მისი სამეცნიერო ნაშრომებიც, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ამრიგად, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, გამოცდილება და ორგანიზაციული ფუნქციების შესრულება სრულად აკმაყოფილებს პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, ასევე შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტს ჰყავს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თავდადებული გუნდი, რომლებიც ერთად მუშაობენ პროგრამის მიზნებისა და სტუდენტური სერვისების წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად. ადმინისტრაციული პერსონალი ადეკვატურად კვალიფიცირებული და აღჭურვილია უნივერსიტეტის მენეჯმენტის ყველა ასპექტისთვის, ხოლო ბიბლიოთეკის, ლაბორატორიებისა და კომპიუტერული ცენტრების დამხმარე პერსონალი მზად არის გაუწიოს უმაღლესი დონის დახმარება როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ პერსონალს. უნივერსიტეტს ჰყავს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გუნდი, რომლებიც მუშაობენ განცალკევებით. მათი მთავარი მიზანია უზრუნველყონ პროგრამის მიზნების განხორციელება და საუკეთესო სტუდენტური სერვისების უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული პერსონალი შედეგადად კვალიფიციური პროფესიონალებისაგან, რომლებიც ასევე პასუხისმგებელი არიან ბიბლიოთეკის მართვაზე. უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალი მუშაობს სხვადასხვა განყოფილებაში, როგორებიცაა ლაბორატორიები და კომპიუტერული ცენტრები. მათი როლი განისაზღვრება შესაბამისი რეგულაციებით და შეესაბამება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მისიას. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის როლები ურთიერთდაკავშირებულია და ისინი ერთობლივად მუშაობენ სასწავლო პროცესის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე. უნივერსიტეტს აქვს კონკრეტული წესები და რეგულაციები აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პოზიციების დასაკავებლად. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც განახლებადია ყოველ სემესტრში. ეს სქემა მოიცავს სწავლებას ან/და სამეცნიერო კვლევას, ასევე სხვა დატვირთვას, პერსონალის კონკრეტული ფუნქციების შესაბამისად. სამუშაო დატვირთვის სქემა მოიცავს როგორც საშემოდგომო, ისე გაზაფხულის სემესტრებს და განსაზღვრავს დაგეგმილ და რეალურ სამუშაოებს უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ პერსონალის ყველა წევრს ჰქონდეს აუცილებელი კვალიფიკაცია და კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში



- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და აქტივობები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი ინფორმაცია (CV)
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობა
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- „მოთხოვნები უმაღლესი განათლების პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ“ (დანართი 2-EP-QA1.1).
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები
- პროგრამაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
- ფაკულტეტის ვებსაიტის ოფიციალური ინსტრუქციები: <https://atsu.edu.ge/ge/home>
- უნივერსიტეტის სტუდენტური კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქციები და კონტრაქტის მოდელები
- ფაკულტეტის სტრუქტურა. ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი პროფილი. ფაკულტეტის ოფიციალური ინსტრუქციები: [საინჟინერო-ტექნიკური ფაკულტეტი \(atsu.edu.ge\)](https://atsu.edu.ge)
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება No173, 28.02.2018წ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ - (<https://atsu.edu.ge/ge/legal-reference>);
- აკადემიური საბჭოს დადგენილება No61 (21/22), 6.06.2022წ.: „კონტრაქტის საფუძველზე მოწვეული აკადემიური პერსონალის, ემერიტუსების, მასწავლებლებისა და სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმები“ - (<https://atsu.edu.ge/ge/legal-reference>);
- აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია**

მაგისტრანტებს და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამა „მშენებლობა“ მოიცავს 30 კრედიტიან კვლევით კომპონენტს სამაგისტრო ნაშრომისათვის. ეს უზრუნველყოფს სწავლის პროცესში შეძენილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების სისტემატიზაციას, სფეროს სპეციფიკური ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენას. ნაშრომის დაცვისას სტუდენტმა უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა თავის არჩეულ სფეროში, წარმოადგინოს მიღწეული შედეგები და წარმოაჩინოს საკუთარი არგუმენტაცია საჯაროდ და გონივრულად.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აწსუ-ს აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს პროფესორი, ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი. დეპარტამენტის ხელმძღვანელი გადაწყვეტილებას იღებს მოწვევაზე პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, რაც აისახება დეპარტამენტის სხდომის შესაბამის ოქმში. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს, თემებს და რეცენზენტებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. ნაშრომს შესაძლოა ჰყავდეს თანახელმძღვანელი (კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე). ერთ ხელმძღვანელს შეუძლია ერთდროულად ხელმძღვანელობა გაუწიოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს.

პროგრამის წარმატებულ განხორციელებას უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პროფესიონალი აკადემიური პერსონალი, ხანგრძლივი სწავლებისა და ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო გამოცდილებით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად აწსუ-ს აკადემიური პერსონალიდან „მშენებლობასთან“ დაკავშირებული ნაშრომების ხელმძღვანელი შეიძლება იყოს 2 პროფესორი და 7 ასოცირებული პროფესორი. აკადემიური პერსონალის წევრებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ნაშრომებს, განათლება მიღებული აქვთ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ წამყვან აკრედიტებულ უნივერსიტეტებში. მათ ასევე გამოქვეყნებული აქვთ თავიანთი ნაშრომები მაღალ რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში.

ნაშრომის თემები შეირჩევა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევის მიმართულებებიდან გამომდინარე, რეგიონისათვის აქტუალური ტექნიკური პრობლემების შესაბამისად. თემების შერჩევისას ასევე გათვალისწინებულია მაგისტრანტებისა და პარტნიორი ორგანიზაციების ინტერესები.

სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომების მუდმივი ხელმძღვანელების რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	9	9	არა
- პროფესორი:	2	2	არა
- ასოცირებული პროფესორი	7	7	არა
- ასისტენტ-პროფესორი	არა	არა	არა
მოწვეული პერსონალი	არა	არა	-
სამეცნიერო პერსონალი	არა	არა	-

ხელმძღვანელებად ჩართული პერსონალის მაღალი ხარისხის აკადემიური გამოცდილების მიუხედავად, სასწრაფოდ საჭიროა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლების აქტიური ჩართვა. ახალგაზრდა თაობის

ჩართვა საჭირო იქნება პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ასევე ახალი აქტუალური თემების შემოსატანად. ეს თემები უნდა უკავშირდებოდეს დიგიტალიზაციას, BIM-ს და ინდუსტრიას 4.0, რომლებიც უნდა იქცნენ პოტენციური გამოწვევად აკადემიურ დაწესებულებაში სადიპლომო ნაშრომებისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- o თვითშეფასების ანგარიში
- o სამაგისტრო პროგრამები
- o მონაცემები აკადემიური პერსონალის შესახებ

**რეკომენდაციები:**

სასწავლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ახალგაზრდა თაობის აკადემიური პერსონალი სასწრაფოდ უნდა ჩაერთოს ხელმძღვანელობის პროცესში, რათა დანერგოს ახალი თაობის „მრეწველობა 4.0-თან“ დაკავშირებული მეტი თემა; საჭირო იქნება ფაკულტეტის შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- o არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- უსდ-მ რეგულარულად ატარებს პროგრამის პერსონალის მუშაობის შეფასებას და აანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტმა შეიმუშავა და დანერგა აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების სისტემა.

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის განმავლობაში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდურ მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის

დეკანატი, კათედრის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და პრორექტორი. პირველ ეტაპზე სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდურ საქმიანობას ამოწმებს კათედრის ხელმძღვანელი, რომელიც აღრიცხავს თითოეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის წლიურ ანგარიშში. მთელი აკადემიური პერსონალის მუშაობის ანგარიში განიხილება კათედრის სხდომებზე, ასევე დეკანის მიერ და დასამტკიცებლად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. კათედრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სასწავლო წლის ბოლოს, მენეჯმენტის სხვადასხვა საფეხურზე, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური განიხილავს და აღრიცხავს აკადემიური პერსონალის აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას. შესრულებული სამეცნიერო-მეთოდური სამუშაოს ხარისხზე საბოლოო შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი სამეცნიერო-დისციპლინური საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

აკადემიური პერსონალის საქმიანობის ადმინისტრაციული შეფასების პარალელურად ტარდება სტუდენტების გამოკითხვები. გამოხმაურება ამ გამოკითხვებზე უზრუნველყოფილია ყოველ სემესტრში.

ასევე დაინერგა კოლეგიური ურთიერთდასწრება მეცადინეობებზე, რათა გამოითქვას აზრი ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების შესახებ.

პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის აწესი იყენებს შემდეგ მომსახურებებს:

- o მივლინებები ტრენინგებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე;
- o აწესი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და ვორქშოპები;
- o აწესი-ს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება;
- o უწყვეტი სწავლების ცენტრის უცხო ენების კურსები;
- o აწესი-ს სამეცნიერო საკონფერენციო მომსახურება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- o თვითშეფასების ანგარიში
- o შეხვედრები/ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

- o არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- o არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.4. მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა, ძირითადად, მიმდინარეობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო დარბაზებში, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ოთახში. გარდა ამისა, პროგრამის აქტივობებისთვის გამოიყენება "შშენებლობისა და ტრანსპორტის" დეპარტამენტის სასწავლო და საწარმოო განყოფილება RUL ცენტრში, ისევე როგორც მისი კვლევითი ლაბორატორიები. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ საკლასო ოთახები აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით და სათანადოდაა მოწყობილი. გარდა ამისა, აუდიტორიებსა და ლაბორატორიებს აქვთ ვიზუალური საშუალებები, რომლებიც აძლიერებენ განხილული თემების აღქმას. ექსპერტებმა დაათვალიერეს ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრები, ფაკულტეტის ლაბორატორიები და უნივერსიტეტის ტექნოლოგიური კაბინეტი-ლაბორატორიები. მათი დასკვნები მიუთითებს იმაზე, რომ ეს ლაბორატორიები აღჭურვილია საჭირო მასალებით და ტექნიკური რესურსებით ლაბორატორიული სამუშაოების განსახორციელებლად, როგორც ეს ასახულია სილაბუსში. განახლდა და გაუმჯობესდა უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და კვლევითი გარემო; საბიბლიოთეკო ფონდი აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ლიტერატურით, ასევე კომპიუტერული კლასებით. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ლიტერატურის ფართო სპექტრი, მათ შორის სახელმძღვანელოები და ელექტრონული ვერსიები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. უფრო მეტიც, უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს საჭიროებისამებრ მოითხოვონ ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომები. უნივერსიტეტს ადგილობრივი ორგანიზაციების გარდა გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები უცხოურ უნივერსიტეტებთან, რაც ღირებულია როგორც აკადემიური პერსონალისათვის, ისე სტუდენტებისათვის.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკა სთავაზობს მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ელექტრონულ ვერსიებს. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, ბიბლიოთეკის ფონდის განახლება რეგულარულად ხდება, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა უახლეს ლიტერატურაზე. სამაგისტრო პროგრამისთვის ხელმისაწვდომი მეთოდოლოგიური მასალა და ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის გარანტიას და შეესაბამება დარგში არსებულ მიღწევებს. პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს უახლეს ქართულ და უცხოენოვან ნაშრომებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ფონდის საცავში. გარდა ამისა, ნაშრომების ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი 2011 წლიდან ჩართულია საბიბლიოთეკო სისტემის ინტეგრირებული ელექტრონული კატალოგის (OPAC) სერვისში. ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, მათ შორის: <http://search.epnet.com/>; <http://journals.cambridge.org/>.

უნივერსიტეტი ცდილობს შეიმუშაოს სასწავლო პროცესი და პროგრამა დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინებით. ამ ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმებს ინდუსტრიულ საწარმოებთან შესაბამის სფეროებში, მათ შორისაა:

- სამშენებლო კომპანია შპს „დაგი“;
- სამშენებლო კომპანია შპს "გზამშენი";
- სამშენებლო კომპანია შპს "აკორდი";

- სამშენებლო კომპანია შპს "კშეთილსადენმშენი";
- სამშენებლო კომპანია შპს „საქმილსადენმშენი“;
- სამშენებლო კომპანია შპს „ტობე“;
- "საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი“;
- შპს „კარიბჭე“;
- შპს "დიზაინის კომპლექსი",
- შპს "ფორსი",
- შპს "კარიბჭე";
- "დიზაინ კომპლექსი" შპს.

მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა, რის გამოც, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას დისტანციური, შერეული და ჰიბრიდული სწავლების ფორმები. უნივერსიტეტმა ამისათვის უკვე განახორციელა საპილოტე პროგრამა 2020 წლის 16 მარტიდან 2020 წლის 1 აპრილამდე. პერსონალის თქმით, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში ისინი დისტანციურად ატარებდნენ ლექციებს სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების გამოყენებით, როგორცაა Microsoft Teams და Moodle.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ლაბორატორიები, კერძოდ:

- თერმოდინამიკისა და სითბოს გადაცემის ლაბორატორია
- გეოდეზიის ლაბორატორია
- მასალათგამმლეობისა და სამშენებლო მექანიკის ლაბორატორია
- სამშენებლო მასალების ლაბორატორია
- ჰიდრო-აერომექანიკის ლაბორატორია
- მექანიკური ელექტრული რკალის შედუღების ლაბორატორია
- ნახევრად ავტომატური და ავტომატური შედუღების ლაბორატორია
- კონტაქტური შედუღების ლაბორატორიას
- საგზაო და სამშენებლო მანქანების ლაბორატორია
- სამშენებლო კონსტრუქციების ლაბორატორია

აკადემიური პერსონალი და კომპანიების წარმომადგენლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტები ისარგებლებენ კომპანიების მატერიალური რესურსებით. მათ ასევე აღნიშნეს, რომ მემორანდუმის ფარგლებში უკვე იყო ასეთი გამოცდილება.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულებამ ძლიერ მხარედ დაასახელა საბაზისო მასალა-ტექნიკური საშუალებების არსებობა და პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესაძლებლობა. ინტერვიუებისას პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მემორანდუმის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს მათ ხელთ არსებული მატერიალური რესურსები, კვლევითი აღჭურვილობა და ინსტრუმენტები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიღწევადია, თუმცა სასურველია დაწესებულებამ პერიოდულად განახლოს ლაბორატორიული ობიექტები უფრო თანამედროვე აპარატურით.

აკადემიური დაწესებულების სწავლება-სწავლის გარემო, რეგულარული რეკრეაციის შესაბამისი სიმძლავრეებით უნდა აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ყველა თანამედროვე ეროვნულ სტანდარტს. უნივერსიტეტში რეგულარულისა მუშაო გარემო ასევე უნდა იყოს ესთეტიურად გამორჩეული და ასახავს იქ აკადემიური მუშაობის ხარისხს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სამაგისტრო პროგრამა
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის VII, IX კორპუსების საკლასო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა;
- უნივერსიტეტის მუდმივად განახლებადი სამეცნიერო ბიბლიოთეკა - <https://library.atsu.edu.ge/> ;
- თანამშრომლობის მემორანდუმები ინდუსტრიის საწარმოებთან
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებთან <https://library.atsu.edu.ge/ge/p/scientificbases>
- საგანმანათლებლო აუდიტორიები და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა (მატერიალურ-ტექნიკური რესურსები) უნივერსიტეტის VII, IX კორპუსებში;
- ბიბლიოთეკის დებულება (დადგენილება No158; 2018 წლის 28 თებერვალი);
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი ფონდი;
- წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე/ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე;
- ვიზუალური შემოწმება;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4. მატერიალური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შესაბამეა პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი



პროგრამული ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ და მოიცავს პროგრამის კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ ხარჯებს.

უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მოცულობა 2014 წლიდან 2023 წლამდე ყოველწლიურად იზრდება.

ბიუჯეტის დაგეგმვისას თანხის რაციონალურად და ეფექტიანად გახარჯვის მიზნით, ბოლო წლებში, ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების (მაგ. საბიუჯეტო განაცხადების) შესაბამისად, მათ საერთო ბიუჯეტის ფარგლებში გამოიყოფა ხარჯვის ლიმიტი. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს როგორც საბიუჯეტო პრიორიტეტების დოკუმენტს, ასევე ხარჯვის ლიმიტის ოდენობას. აწსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტების წარდგენა და გათვალისწინება მიმდინარე წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, არის შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში ზემოაღნიშნული გეგმების ეფექტიანად განხორციელებისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილება. უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ უნდა დაიწყოს აქტივობები ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განახლების გეგმის შემუშავების მიზნით, ამ საქმიანობისთვის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფით. დაწესებულების აკადემიური ნაყოფიერების ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია იმ გარემოს ხარისხზე, რომელსაც რეგულარულად იყენებენ პერსონალი და სტუდენტები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის ბიუჯეტი;
- შენობების მონახულება;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამა არა საკმარისადაა დაფინანსებული; სამოქალაქო ინჟინერიის სწავლა ყოველთვის ძვირია და მოითხოვს კარგ დაფინანსებას შესაბამისი ობიექტებისა და აკადემიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად; თვითშეფასების ანგარიში არ იძლევა მკაფიო მტკიცებულებას იმის თაობაზე, რომ სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელებს ამჟამად აქვთ შესაბამისი რესურსები. სამშენებლო სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან/დამსაქმებლებთან/მეწარმეებთან თანამშრომლობით უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს ეს საკითხი, რათა უზრუნველყოს სამშენებლო საქმის სწავლების გრძელვადიანი ხარისხი აწსუ-ში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



**პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა**

<b>4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა</b>	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>	<b>5.</b>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>	
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>	
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>	

**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი**

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

**5.1. შიდა ხარისხის შეფასება**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესის განხორციელების დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მიდგომებისა და მექანიზმების მთავარი მარეგულირებელი დოკუმენტია „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“, რომლის მიხედვითაც დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის სისტემა ემყარება 3 ძირითად პოლიტიკას:

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA
- კვლევების განვითარების პოლიტიკა - RE-QA;
- მენეჯმენტის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA.

საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA) ხორციელდება 3 პროცედურის მეშვეობით:

- პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) - განსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ახალი პროგრამის ინიცირება, შემუშავებისა და დამტკიცების წესები, ძირითადი მოთხოვნები, პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები და ა.შ. დოკუმენტის დანართებია - საგანმანათლებლო პროგრამის იდეის განაცხადის ფორმა, ძირითადი პარამეტრები და რესურსების შესაბამისობის ფორმა, პროგრამის სასწავლო გეგმის ფორმა და სილაბუსის ფორმა. დოკუმენტის დანართი არის „ინსტრუქციები უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის“ (4-EP-QA

1.1), რომელიც არეგულირებს შემდეგ საკითხებს: 1) კურიკულუმის სტრუქტურა, 2) პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, 3) პროგრამის მოცულობა კრედიტებით, 4) სწავლების ენა, 5) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, 6) პროგრამის ანალოგები, 7) პროგრამის მიზანი, 8) სწავლის შედეგები, 9) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, 10) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, 11) სასწავლო გეგმა, 12) სასწავლო კურსის სილაბუსის სტრუქტურა, 13) ადამიანური რესურსები და ა.შ.

- პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2) - აღწერს პროგრამის შეფასებისთვის აუცილებელ აქტივობებს/ზომებს, ასევე შეფასებისთვის გამოყენებულ სხვადასხვა ინდიკატორებსა და კრიტერიუმებს. მიღებული შეფასება გამოიყენება როგორც მიმდინარე პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ისე მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- არსებული პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3) – განსაზღვრავს არსებული პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ აქტივობებს, მათი განხორციელების მეთოდებს და პასუხისმგებელ პირებს, პროგრამაში ცვლილებების შეტანას და ამ ცვლილებების დამტკიცებას.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, შიდა ხარისხის შეფასება ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით, შეფასების შედეგების რეაგირების წინასწარ დადგენილი მექანიზმების, ინსტრუმენტებისა და პროცედურების გამოყენებით. ამ დოკუმენტების გამოყენება შეფასების (და თვითშეფასების) პროცესში უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და კომპლექსურობას - რეგულირდება ყველა პროცედურა, განისაზღვრება ამ პროცესში მონაწილეთა ფუნქციები, გამოიყენება წინასწარ შექმნილი ერთიანი ფორმები, პროგრამის შინაარსი და რესურსებით უზრუნველყოფა, არსებული გამოცდილება, დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები და კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები) მოსაზრებები ექვემდებარება შესწავლას და შეფასებას და ა.შ. ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, დაწესებულება იყენებს PDCA პრინციპს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა მოდიფიცირდა 01.2022 - 05.2023წწ. პერიოდში. ამიტომ, ობიექტური გარემოებების გამო, ამ მოკლე ეტაპზე ამ პრინციპის სრულად გამოყენება ვერ მოხერხდა.

აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამა არის არსებული პროგრამის მოდიფიცირებული ვერსია. პროგრამის მოდიფიკაცია მოიცავდა რამდენიმე ეტაპს, მათ შორის 2021 წელს მიღებული რეკომენდაციების ანალიზს, პროგრამის გაუმჯობესების გზების განსაზღვრას, ცვლილებების განხორციელებას, საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას (მსგავსი პროგრამები), შეცვლილი პროგრამის შიდა და გარე შეფასებას, პროგრამის საბოლოო განხილვას და დამტკიცებას.

პროგრამის მოდიფიცირება განახორციელა სამუშაო ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ინიცირების იდეის ავტორი, პროგრამის ხელმძღვანელი (ამავდროულად, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) , აკადემიური პერსონალი, პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის მიზანშეწონილი პროგრამის ხელმძღვანელი იყოს ამავე დროს პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის შესაბამისობას მოთხოვნებთან და აფასებს მას. ეს ქმნის ინტერესთა კონფლიქტის საფუძველს და შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს პროგრამის შიდა შეფასების ობიექტურობა.

ინტერვიუებისას პროგრამის ხელმძღვანელმა და თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს ზემოაღნიშნულ პროცედურებსა და გაწეულ სამუშაოებზე. მათი განმარტებით, სამუშაო პროცესში გაანალიზდა აკრედიტაციის საბჭოს მიერ უკვე გაცემული რეკომენდაციები, პროგრამის შინაარსი და რესურსებით უზრუნველყოფა (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები). ექსპერტებს გაუჩნდათ კითხვები პროგრამული რესურსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით - როგორ იქნა შესწავლილი პროგრამის რესურსები და რის საფუძველზე განისაზღვრა ამ რესურსების (მათ შორის ფინანსური რესურსების)

საკმარისობა პროგრამის განსახორციელებისა და განვითარებისათვის. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები განისაზღვრა არსებული გამოცდილებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. თუმცა, მან მკაფიოდ ვერ ახსნა, თუ რატომ არ არის გათვალისწინებული, მაგალითად, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობის, შეცვლის ან/და განახლების ხარჯები ბიუჯეტში. პასუხის მიხედვით, საჭირო ხარჯები დაიფარება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ან დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტიდან ან ფაკულტეტისათვის დამატებით გამოყოფილი ფინანსური კვოტიდან.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ შესწავლილ იქნა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები, მსგავსი პროგრამები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ და განხორციელდა პროგრამის გარე შეფასება, რაც დადასტურდა თვითშეფასების ანგარიშზე დანართად წარმოდგენილი მასალებით. ინტერვიუებულებმა ასევე აღნიშნეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი ამ პროცესში (კონსულტაციები, საინფორმაციო შეხვედრები და ა.შ.). ინტერვიუს დროს პროგრამის სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და პოტენციურმა დამსაქმებლებმა ისაუბრეს პროგრამის მნიშვნელობასა და აქტუალობაზე, აღნიშნეს, რომ პროგრამა აკმაყოფილებს მათ მოლოდინებს და დადებითად არის შეფასებული მათ მიერ. პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა ასევე აღნიშნა, რომ ხდება მათი საქმიანობის სისტემატური შეფასება. მათ აცნობენ შეფასების შედეგებს, იკვლევენ მათ მოსაზრებებს და საჭიროებებს, ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებებს პროფესიული განვითარებისათვის (მაგალითად, კონსულტაციები, ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები და ა.შ.). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების, პროგრამის ხელმძღვანელისა და გამოკითხულების თქმით, შეფასების მნიშვნელოვანი ასპექტია პროგრამის განხორციელების პროცესის ხარისხი, სწავლების მეთოდები, გამოყენებული სწავლების ტექნოლოგიები (მათ შორის, ელექტრონული სწავლის შესაძლებლობები).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა უზრუნველყოფს პროცესებისადმი კომპლექსურ მიდგომას, პროცესების დოკუმენტირებას და სხვადასხვა პერიოდში მიღებული შედეგებზე დაკვირვებისა და შედარების შესაძლებლობას (დადასტურებულია დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის/მენეჯმენტის მარეგულირებელი დოკუმენტებით). დაწესებულებაში ხარისხის მართვის სისტემა, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები და მექანიზმები ქმნის პროგრამის განვითარებისა და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის შესაძლებლობას. ამავდროულად, მიზანშეწონილია გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო საფუძველი, კერძოდ, სიტუაცია, როდესაც ერთი და იგივე პირი ქმნის პროგრამას და თავად ამოწმებს ამ პროგრამის შესაბამისობას სტანდარტებთან (საუბარია პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ფუნქციების კომბინირებაზე).
- პროგრამის მოდიფიცირება განხორციელდა კოლეგიურად, სამუშაო ჯგუფისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, დაწესებულებაში მოქმედი პროცედურების დაცვით. (დადასტურებულია როგორც დოკუმენტებით, ისე ინტერვიუების შედეგებით). პროგრამის მოდიფიცირების პროცესი მოიცავდა პროგრამის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვას. თუმცა, ასევე აუცილებელი იყო გათვალისწინებინათ ის ფაქტიც, რომ პროგრამის სპეციფიკური მატერიალურ-ტექნიკური რესურსები საჭიროებს პერიოდულ განახლებას (მაგალითად, ცვეთის გამო) და შევსებას (მაგალითად, ლაბორატორიული ექსპერიმენტებისათვის საჭირო მასალების შემთხვევაში), რაც შეუძლებელია შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ აუცილებელია პროგრამის კომპლექსური შეფასება - პროგრამის მდგრადობისთვის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის შესწავლა, მათ შორის პროგრამის რესურსების მოვლა-პატრონობის, განახლებისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების წინასწარი იდენტიფიცირების ჩათვლით.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარდგენილმა დოკუმენტებმა, ინტერვიუების შედეგებმა და ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა ერთად განაპირობა სტანდარტის ამ კომპონენტის - „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“ შეფასება.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) და დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.1) და დანართები;
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურა (EP-QA 1.3);
- პროგრამის დამტკიცება აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება #64(22/23), 27.04.2023წ.);
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის სამშენებლო და ტრანსპორტის დეპარტამენტის სხდომის ოქმი #07, 06.03.2023წ.;
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #22, 16.03.2023წ.;
- სწავლის შედეგების შეფასება, 2022წ;
- პროგრამის გარე შეფასება;
- პროგრამის შიდა შეფასება;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები, 2020-2021წწ, 2021-2022წწ;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები, 2022-2023წწ. (დამატებითი დოკუმენტაცია);
- რექტორის ბრძანებები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით (#01-04/21, 13.03.2020წ; #01-04/25, 03.04.2020წ; #01-04/28, 24.04.2020წ; 01-04/106, 16.01. 2020წ. - დამატებითი დოკუმენტაცია);
- მატერიალური რესურსების ნუსხა;
- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ (დამატებითი დოკუმენტაცია);
- კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის შეფასება;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის პერსონალის გამოკითხვის ანალიზი;
- უცხოური პროგრამების კვლევა და შედარებითი ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

#### **რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია პროგრამის ყოვლისმომცველი შეფასება - პროგრამის მდგრადობის განმსაზღვრელი ყველა ასპექტის შესწავლა, პროგრამის რესურსების მოვლა-პატრონობის, განახლებისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის წინასწარი განსაზღვრის ჩათვლით.

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- მიზანშეწონილია გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო საფუძველი. კერძოდ, გამოირიცხოს პროგრამაზე პასუხისმგებელი პირის (პროგრამის ხელმძღვანელი) და მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირის (ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელი პირის) ფუნქციების თანხვედრა.

#### **შეფასება:**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

### სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების მიხედვით, პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის პროცესში მიღებული შეფასებები და რეკომენდაციები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტებულია (იხ.: თვითშეფასების ანგარიში „ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ“). 2021 წელს ამ გარე შეფასებისას გაკეთდა გარკვეული რეკომენდაციები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში განხორციელებული ცვლილებების გამო (მაგალითად, პროგრამის სტრუქტურა, პროგრამის კონცენტრაციების სტრუქტურა), გარკვეულმა რეკომენდაციებმა დაკარგა აქტუალობა (მაგალითად, რეკომენდაციები კონცენტრაციებში არჩევითობასთან დაკავშირებით).

პროგრამისა და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის თქმით, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები სამუშაო ჯგუფმა შეასრულა, რაც უმეტეს შემთხვევაში დასტურდება. თუმცა, არსებობს 2 რეკომენდაცია, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება. კერძოდ, რეკომენდაცია: „უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდას, მის შენარჩუნებას და პერსონალის პროფესიულ განვითარებას“ (იხ. აქტივობების მოცულობის დინამიკა: 1) კონფერენციები (2021წ. = 11; 2022წ. = 9; 2023წ. = 6); 2) ტრენინგები (2021წ. = 3; 2022წ. = 2); 3) სამეცნიერო პუბლიკაციები (2021წ. = 10; 2022წ. = 5; 2023წ. = 4); 4) პერსონალის მიერ მოპოვებული პროექტები (2021წ. = 1; 2022წ. = 1)). პროგრამის პერსონალთან ინტერვიუებისას ცხადი გახდა, რომ რეკომენდაცია რჩება აქტუალური. ასევე, რეკომენდაცია სილაბუსებში დაწერილი „აკადემიურ კურსზე დაშვების წინაპირობები“ უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ჩანაწერებს“ - სრულად არ განხორციელებულა (იხ. პროგრამის სასწავლო გეგმა და სასწავლო კურსების სილაბუსები. გამონაკლისები: "შშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზა": 1) სილაბუსში - "ხის კონსტრუქციები", სასწავლო გეგმაში "ხის და კომპოზიტიური კონსტრუქციები", 2) სილაბუსში "მაგისტრალის დიზაინი", სასწავლო გეგმაში - "მაგისტრალის დიზაინი 1". "კომპიუტერული მოდელირება სამშენებლო ინდუსტრიაში": სილაბუსში "მაგისტრალის რეაბილიტაცია", სასწავლო გეგმაში - "მაგისტრალის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია").

ინტერვიუზე პროგრამისა და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში გათვალისწინებული იქნა დამოუკიდებელი ექსპერტის რეკომენდაციები და დამსაქმებლების მოსაზრებები - პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა ქართველი, დაწესებულებასთან არააფილირებული სპეციალისტის მიერ (მისი მოსაზრებები, რეკომენდაციები და პროგრამის შეფასება წარმოდგენილია ოფიციალური წერილის სახით). გარე ექსპერტის მიერ პროგრამა შეფასდა დადებითად. ასევე, დადებითად შეაფასეს პროგრამა დამსაქმებლებმა და დაადასტურეს პროგრამისადმი მაღალი ინტერესი და მზაობა შემდგომი თანამშრომლობისათვის.

დაწესებულების მიერ წარდგენილმა დოკუმენტებმა, ინტერვიუების შედეგებმა და ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა ერთად განაპირობა სტანდარტის ამ კომპონენტის შეფასება, როგორც „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის სასწავლო გეგმა (პროგრამის მიზნები; პროგრამის სწავლის შედეგები; აკადემიური კურსების განაწილება სემესტრების მიხედვით);
- სილაბუსები;
- ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები (მათ შორის, ინფორმაცია პერსონალის კონფერენციების, პუბლიკაციების, ტრენინგების, პროექტების შესახებ);
- პროგრამის გარე შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- აუცილებელია 2021 წელს მიღებული რეკომენდაციების განხორციელება, რომლებიც ჯერ არ განხორციელებულა ან ნაწილობრივ განხორციელდა და ამავდროულად კვლავ აქტუალურია.

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულებაში მოქმედი წესების მიხედვით, პროგრამის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის საფუძველზე დადგენილი შეფასების პროცედურების გამოყენებით. მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი რეგულირდება მიმდინარე

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესით, რომელიც გამოიყენება როგორც პროგრამების შესავსებად, ასევე მიმდინარე პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის. იგივე დოკუმენტი საზღვრავს პროცედურის ეტაპებსა და მათი დასრულების ვადებს. გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მექანიზმი (მაგალითად, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროგრამის პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; პროგრამის შეფასება პირდაპირი და ირიბი მეთოდების გამოყენებით და ა.შ.).

სტანდარტის ამ კომპონენტის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა შემდეგი გარემოებები - აკრედიტაციისთვის წარდგენილი პროგრამა მოდიფიცირდა 2022 წელს. ამრიგად, ამ პერიოდში ობიექტური გარემოებების გამო შეუძლებელი იყო დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ყველა მექანიზმის (მაგალითად, PDCA პრინციპის) სრულად გამოყენება. ასევე შეუძლებელი იყო პროგრამის პერიოდული შეფასება შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის სისტემატური გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, პროგრამის ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ეტაპობრივი განვითარება ვერ მოხერხდა.

ქვემოთ მოცემულია მექანიზმები, რომლებიც გამოიყენა დაწესებულებამ:

- შესწავლილი იქნა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამის პერსონალი). მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო კითხვარის ფორმები და არა კვლევის შედეგები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმირებულობა დასტურდება ინტერვიუების შედეგებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე შესაძლებელი იყო გარკვეული გამოკითხვების ჩატარება დაწესებულებაში არსებული კითხვარების გამოყენებით (მაგალითად, დამსაქმებელთა გამოკითხვა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა საგანმანათლებლო პროცესი, სტუდენტების ინფორმირებულობის დონე, სტუდენტების მოსწრება და სხვადასხვა გამოკითხვის შედეგები. შეფასების შედეგები ასახულია „საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშში“ (2020-2021წწ, 2021-2022წწ);
- პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ;
- შესწავლილი იქნა ქართული და უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამები.

ზემოაღნიშნული და დაწესებულებაში მოქმედი სხვა მექანიზმების გამოყენება რიგ შემთხვევებში დასტურდება - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი - ინტერვიუების შედეგებით: პროგრამის ხელმძღვანელმა, პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს შეფასებების სისტემატურობა და დაადასტურეს მონაწილეობა შეფასებებში (გამოკითხვაში) და ინფორმირებულობა შედეგების შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ შეფასების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება (გამოიყენება პროგრამის შეფასების პირდაპირი და ირიბი მეთოდები). ინტერვიუებისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს PDCA პრინციპის გამოყენებაზე, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის სისტემის მოთხოვნებზე, მათ განხორციელებაზე, შესრულების კონტროლზე, გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, პროგრამის შეფასების გარდა, პროგრამის გაუმჯობესების მექანიზმი ქართული და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილების შესწავლა (მსგავსი პროგრამების შესწავლა). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პროგრამა მოიცავს არჩევით კონცენტრაციას ინგლისურ ენაზე, რომლის სწავლაც სტუდენტებს შეუძლიათ პარტნიორ უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში (იტალიის ლ'აკვილას უნივერსიტეტთან შეთანხმების საფუძველზე).

დაწესებულების მიერ წარდგენილმა დოკუმენტებმა, ინტერვიუების შედეგებმა და ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა ერთად განაპირობა სტანდარტის ამ კომპონენტის შეფასება, როგორც „შეესაბამება მოთხოვნებს“.



**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) და დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.1) და დანართები;
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურა (EP-QA 1.3);
- პროგრამის დამტკიცება აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება #64(22/23), 27.04.2023წ.);
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის სამშენებლო და ტრანსპორტის დეპარტამენტის სხდომის ოქმი #07, 06.03.2023წ.;
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #22, 16.03.2023წ.;
- მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (პროგრამის დანართი);
- სასწავლო გეგმის რუკა (პროგრამის დანართი);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სქემა;
- სწავლის შედეგების შეფასება, 2022წ;
- პროგრამის გარე შეფასება;
- პროგრამის შიდა შეფასება;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები, 2020-2021წწ, 2021-2022წწ;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები, 2022-2023წწ. (დამატებითი დოკუმენტაცია);
- კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის შეფასება;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის პერსონალის გამოკითხვის ანალიზი;
- გამოკითხვის კითხვარები;
- უცხოური პროგრამების კვლევა და შედარებითი ანალიზი;
- თანამშრომლობის ხელშეკრულებები (იტალიის ლ'აკვილას უნივერსიტეტთან);
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

დანართი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის მითითებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხური: მშენებლობა, მაგისტრატურა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სრული სახელი, ხელმოწერა რუდე ლიას

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

სრული სახელი, ხელმოწერა ირმა ღარიბაშვილი

სრული სახელი, ხელმოწერა თამარ გვიანიშვილი

სრული სახელი, ხელმოწერა დავით ტეფნაძე